

# სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება  
2019 წლის 30 ივნისით დასრულებული  
ნახევარწლიური პერიოდისათვის

# სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

## სარჩევი

---

### გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2019 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 1

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის:

|   |          |
|---|----------|
| კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში                 | 2        |
| კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიში                                   | 3        |
| კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიში                                    | 4        |
| კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში                               | 5        |
| <b>კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები</b>                | <b>6</b> |
| 1. ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ  | 6        |
| 2. შესაბამისობა   | 7        |
| 3. წმინდა საპროცენტო შემოსავალი   | 7        |
| 4. საკომისიო შემოსავალი   | 7        |
| 5. თანამშრომელთა ხარჯები  | 8        |
| 6. სხვა საოპერაციო ხარჯები  | 9        |
| 7. ფული და ფულის ექვივალენტები  | 9        |
| 8. მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები | 10       |
| 9. კლიენტებზე გაცემული სესხები  | 11       |
| 10. ძირითადი საშუალებები  | 13       |
| 11. არამატერიალური აქტივები   | 14       |
| 12. სხვა აქტივები   | 14       |
| 13. ნასესხები სახსრები  | 15       |
| 14. სავალო ფასიანი ქაღალდები  | 17       |
| 15. სხვა ვალდებულებები  | 18       |
| 16. სააქციო კაპიტალი და რეზერვები   | 18       |
| 17. კაპიტალის მართვა  | 20       |
| 18. საანგარიშგებო პერიოდის მანძილზე მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები              | 21       |

## სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2019 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის (შემდგომში "კომპანია") და მისი შვილობილის - შპს კრისტალ გრუპის (შემდგომში "ჯგუფი") ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მოცემული თარიღით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.


კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიკური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- ჯგუფის მიერ უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე საქმიანობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2019 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2019 წლის 22 აგვისტოს.


  
დავით ბენიძე  
ფინანსური დირექტორი

2019 წლის 22 აგვისტო  
საქართველო, თბილისი

## სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში  
2019 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის  
(ათასობით ლარში)

|   | შენიშვნა | 6 თვე 2019     | 2018           |
|---|----------|----------------|----------------|
| საპროცენტო შემოსავალი   | 3        | 36,814         | 72,743         |
| საპროცენტო ხარჯი  | 3        | (10,417)       | (20,220)       |
| <b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსურ აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვამდე</b> |          | <b>26,397</b>  | <b>52,523</b>  |
| გაუფასურების დანაკარგების რეზერვი საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსურ აქტივებზე  | 9        | (5,937)        | (8,544)        |
| <b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>   |          | <b>20,460</b>  | <b>43,979</b>  |
| საკომისიო შემოსავალი  | 4        | 209            | 2,452          |
| წმინდა (ზარალი)/მოგება მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე                   |          | 3,967          | (1,523)        |
| წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე   |          | (6,713)        | (6,205)        |
| სხვა შემოსავალი   | 5        | 5              | 111            |
| <b>წმინდა არასაპროცენტო ხარჯები</b>   |          | <b>(2,532)</b> | <b>(5,165)</b> |
| <b>საოპერაციო შემოსავალი</b>  |          | <b>17,928</b>  | <b>38,814</b>  |
| თანამშრომელთა ხარჯები   | 5        | (9,843)        | (17,870)       |
| ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები   | 10, 11   | (1,397)        | (2,405)        |
| სხვა საოპერაციო ხარჯები   | 6        | (6,531)        | (11,360)       |
| <b>მოგება მოგების გადასახადამდე</b>   |          | <b>157</b>     | <b>7,179</b>   |
| მოგების გადასახადის ხარჯი   |          | (35)           | (1,746)        |
| <b>წლის წმინდა მოგება</b>   |          | <b>122</b>     | <b>5,433</b>   |
| სხვა სრული შემოსავლები  |          | -              | -              |
| <b>სულ სრული შემოსავლები</b>  |          | <b>122</b>     | <b>5,433</b>   |

  
დავით ბენდელიანი  
ფინანსური დირექტორი


2019 წლის 22 აგვისტო  
საქართველო, თბილისი

6-21 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს.

## სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიში  
2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით  
(ათასობით ლარში)

|   | შენიშვნა | 2019 წლის 30<br>ივნისი | 2018 წლის 31<br>დეკემბერი |
|---|----------|------------------------|---------------------------|
| <b>აქტივები</b>   |          |                        |                           |
| ფული და ფულის ექვივალენტები   | 7        | 18,432                 | 13,953                    |
| მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული<br>ფინანსური აქტივები      | 8        | 2,632                  | 442                       |
| კლიენტებზე გაცემული სესხები   | 9        | 260,168                | 264,608                   |
| მოგების გადასახადის მიმდინარე აქტივი                                  |          | 573                    | -                         |
| ძირითადი საშუალებები  | 10       | 7,450                  | 7,699                     |
| არამატერიალური აქტივები   | 11       | 1,479                  | 1,552                     |
| გადავადებული საგადასახადო აქტივები                                    |          | 2,500                  | 2,500                     |
| სხვა აქტივები   | 12       | 6,862                  | 4,293                     |
| <b>სულ აქტივები</b>   |          | <b>300,096</b>         | <b>295,047</b>            |
| <b>ვალდებულებები</b>  |          |                        |                           |
| მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული<br>ფინანსური ვალდებულებები | 8        | 409                    | 1,659                     |
| ნასესხები სახსრები  | 13       | 215,310                | 230,917                   |
| სავალო ფასიანი ქაღალდები  | 14       | 22,593                 | 9,945                     |
| მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულება                             |          | -                      | 104                       |
| სხვა ვალდებულებები  | 15       | 709                    | 1,435                     |
| <b>სულ ვალდებულებები</b>  |          | <b>239,021</b>         | <b>244,060</b>            |
| <b>კაპიტალი</b>   |          |                        |                           |
| სააქციო კაპიტალი  | 16       | 3,635                  | 3,061                     |
| საემისიო კაპიტალი   | 16       | 22,110                 | 12,718                    |
| გაუნაწილებელი მოგება  | 16       | 35,330                 | 35,208                    |
| <b>სულ კაპიტალი</b>   |          | <b>61,075</b>          | <b>50,987</b>             |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>                                  |          | <b>300,096</b>         | <b>295,047</b>            |

  
დავით ბენდელიანი  
ფინანსური დირექტორი


2019 წლის 22 აგვისტო  
საქართველო, თბილისი

6-21 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიში  
2019 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის  
(ათასობით ლარში)

|   | სააქციო<br>კაპიტალი | საემისიო<br>კაპიტალი | წილობრივი<br>გადახდის<br>რეზერვი | გაუნაწილე-<br>ბელი მოგება | სულ<br>კაპიტალი |
|---|---------------------|----------------------|----------------------------------|---------------------------|-----------------|
| 2018 წლის 1 იანვარი                                     | 3,052               | 12,551               | 68                               | 30,645                    | 46,316          |
| წლის წმინდა მოგება                                      | -                   | -                    | -                                | 5,433                     | 5,433           |
| გამოცხადებული და გადახდილი<br>დივიდენდები               | -                   | -                    | -                                | (870)                     | (870)           |
| წილობრივი გადახდის დარიცხვა                             | -                   | -                    | 108                              | -                         | 108             |
| სააქციო კაპიტალის წილობრივი<br>გადახდით გამოწვეული ზრდა | 9                   | 167                  | (176)                            | -                         | -               |
| 2018 წლის 31 დეკემბერი                                  | 3,061               | 12,718               | -                                | 35,208                    | 50,987          |
| პერიოდის წმინდა მოგება                                  | -                   | -                    | -                                | 122                       | 122             |
| აქციების გამოშვება                                      | 574                 | 9,392                | -                                | -                         | 9,966           |
| 2019 წლის 30 ივნისი                                     | 3,635               | 22,110               | -                                | 35,330                    | 61,075          |

  
დავით ბენდელიანი  
ფინანსური დირექტორი


2019 წლის 22 აგვისტო  
საქართველო, თბილისი

6-21 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური  
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

# სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში  
2019 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის  
(ათასობით ლარში)

|   | შენიშვნა | 6 თვე 2019      | 2018            |
|---|----------|-----------------|-----------------|
| ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან  |          |                 |                 |
| მოგება მოგების გადასახადამდე  |          | 157             | 71,79           |
| კორექტირებები:  |          |                 |                 |
| წმინდა (მოგება)/ზარალი მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით   |          |                 |                 |
| ასახული ფინანსური ინსტრუმენტებიდან  |          | (3,967)         | 1,523           |
| ცვეთა და ამორტიზაცია  | 10, 11   | 1,397           | 2,405           |
| საპროცენტო შემოსავალი   | 3        | (36,814)        | (72,743)        |
| საპროცენტო ხარჯი  | 3        | 10,417          | 20,220          |
| გაუფასურების დანაკარგები საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივებზე  | 9        | 5,937           | 8,544           |
| წმინდა (მოგება)/ზარალი უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე   |          | 6,713           | 6,205           |
| ძირითადი საშუალებების რეალიზაციისგან მიღებული ზარალი  |          | -               | 27              |
| კაპიტალში გამოყვითული წილობრივი გადახდა   | 16       | -               | 108             |
| <b>ფულადი სახსრების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილების განხორციელებამდე</b> |          | <b>(16,160)</b> | <b>(26,532)</b> |
| საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებები:  |          |                 |                 |
| მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შემცირება                                 |          | 527             | 688             |
| კლიენტებზე გაცემული სესხების შემცირება/(ზრდა)   |          | 1,177           | (71,549)        |
| სხვა აქტივების ზრდა   |          | (2,502)         | (682)           |
| სხვა ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა  |          | (801)           | 50              |
| <b>საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება</b>  |          | <b>(1,599)</b>  | <b>(71,493)</b> |
| მიღებული პროცენტი   |          | 34,596          | 69,187          |
| გადახდილი პროცენტი  |          | (10,333)        | (20,074)        |
| გადახდილი მოგების გადასახადი  |          | (712)           | (2,485)         |
| <b>წმინდა ფულადი სახსრების შემოსავალი/(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან</b>   |          | <b>5,792</b>    | <b>(51,397)</b> |
| ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან  |          |                 |                 |
| ძირითადი საშუალებების შეძენა  | 10       | (939)           | (4,476)         |
| არამატერიალური აქტივების შეძენა   | 11       | (137)           | (597)           |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვა   |          | 1               | 24              |
| <b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები</b>   |          | <b>(1,075)</b>  | <b>(5,049)</b>  |
| საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები  |          |                 |                 |
| შემოსავალი ნაესხები სახსრებიდან   | 13       | 33,139          | 130,757         |
| სესხების დაფარვა  | 13       | (56,711)        | (74,175)        |
| სავალო ფასიანი ქაღალდის გამოშვებით მიღებული შემოსავლები   | 14       | 12,487          | -               |
| აქციების გამოშვებით მიღებული შემოსავლები  | 16       | 9,966           | -               |
| გადახდილი დივიდენდი   | 16       | -               | (870)           |
| <b>წმინდა ფულადი სახსრების (გადინება)/შემოსავალი საფინანსო საქმიანობიდან</b>  |          | <b>(1,119)</b>  | <b>55,712</b>   |
| <b>ფულისა და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)</b>   |          | <b>3,598</b>    | <b>(734)</b>    |
| კურსთაშორისი სხვაობის გავლენა უცხოურ ვალუტაში არსებული ნაღდი ფულის ბალანსზე   |          | 881             | 367             |
| ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში   | 7        | 13,953          | 14,320          |
| <b>ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს</b>   | 7        | <b>18,432</b>   | <b>13,953</b>   |

  
დავით ბენდელიანი  
ფინანსური დირექტორი

2019 წლის 22 აგვისტო  
საქართველო, თბილისი

6-21 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

# სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები  
 2019 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის  
 (ათასობით ლარში)

## 1. ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ

სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი (შემდგომში “კომპანია”) დაფუძნდა 2007 წლის 23 აგვისტოს ფონდი კრისტალის გადაწყვეტილების საფუძველზე (დირექტორთა საბჭოს 2007 წლის 21 აგვისტოს #20 გადაწყვეტილება) 2006 წლის 18 ივლისის “მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად.

2018 წლის 26 იანვარს კომპანიამ 100%-იანი შვილობილი - შპს კრისტალ გრუპი დააფუძნა. შვილობილს აქტიური ოპერაციები ჯერ არ დაუწყია. მისი მთავარი საქმიანობა იქნება მიკროფინანსებისა და ფინანსური ტექნოლოგიების სფეროში ნოუ-ჰაუს ექსპორტი უცხოურ ბაზრებზე.

სს მისო კრისტალისა და შპს კრისტალი გრუპის (შემდგომში „ჯგუფი“ იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ქუთაისი, ნიკეას ქუჩა #22.

ჯგუფის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება.

ჯგუფის ოპერაციების ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებიც არჩეულნი არიან აქციონერთა საერთო კრების მიერ. ჯგუფის ყოველდღიურ მართვას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორი.

ჯგუფის მიზანია მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა და განვითარება საქართველოში და მისი კლიენტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება მათთვის ხელმისაწვდომი ფინანსური მომსახურების გაწევით.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა მიკრო-სესხების გაცემა. ჯგუფის ფინანსური პროდუქტებია: ინდივიდუალური ბიზნეს-სესხები, აგრო-სესხები, სამომხმარებლო სესხები, სალომბარდო სესხები, საცხოვრებელი სახლების სამშენებლო სესხები, კორპორაციული სესხები და სხვ.

საქართველოში ჯგუფს აქვს ორმოცი ფილიალი და ოცდაორი სერვის-ცენტრი (ე.წ. „ბუტიკები“), ხოლო მისი სათაო ოფისი მდებარეობს ქუთაისში (2018: ორმოცი ფილიალი და ოცდაორი სერვის-ცენტრი).

2019 წლის 30 ივნისისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მფლობელები არიან შემდეგი აქციონერები:

|   | 2019 წლის 30<br>ივნისი | 2018 წლის 31<br>დეკემბერი |
|---|------------------------|---------------------------|
| <b>პირველი რიგის აქციონერები/გამომწვებული სააქციო კაპიტალის მფლობელები:</b> |                        |                           |
| ფონდი კრისტალი  | 39.90%                 | 47.37%                    |
| AGRIF COÖPERATIEF U.A.  | 38.66%                 | 37.12%                    |
| DWM Funds S.C.A-SICAV SIF   | 18.80%                 | 12.37%                    |
| ჯგუფის ხელმძღვანელობა   | 2.64%                  | 3.14%                     |
| <b>სულ</b>  | <b>100%</b>            | <b>100%</b>               |

2019 წლის 30 ივნისისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მთავარი აქციონერია ფონდი კრისტალი, რომელიც შესაბამისად ფლობს აქციების 39.9%-სა და 47.37%-ს.

ფონდი კრისტალი არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის თანახმად: მისი წევრები არ არიან ფონდის მესაკუთრეები და არ სარგებლობენ ეკონომიკური უფლებებით. 2019 წლის 30 ივნისისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფონდის წევრები და მაკონტროლებელი მხარეები არიან: არჩილ ბაკურაძე, პაატა წოწონავა, ალუ გამახარია, ფრედერიკ რინოლდ ჰაიდ-ჩემბერსი, კის იანგი და ნიკოლოზ გეგეშიძე. წევრებს ფონდ კრისტალში თანაბარი ხმის მიცემის უფლება აქვთ.



# სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)  
 2019 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის  
 (ათასობით ლარში)

## 2. შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (“ფასს”) შესაბამისად, რომელიც გამოშვებულია ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ, ხოლო ინტერპრეტაციები ეკუთვნის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ინტერპრეტაციის კომიტეტს („ფასსიკ“).

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ ჯგუფი წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში („ლარი“), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება, ზოგადად, ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

ჯგუფი რეგისტრირებულია საქართველოში და აწარმოებს საკუთარ აღრიცხვას ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია სავალდებულო საბუღალტრო ჩანაწერებიდან და კორექტირებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) მიხედვით.

## 3. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

|  | 6 თვე 2019      | 2018            |
|--|-----------------|-----------------|
| <b>შემოსავლის საპროცენტო განაკვეთის კალკულაცია ეფექტური საპროცენტო განაკვეთი დათვლის მეთოდის გამოყენებით</b>   |                 |                 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები  | 36,736          | 72,694          |
| ფული და ფულის ექვივალენტი  | 78              | 49              |
|  | <b>36,814</b>   | <b>72,743</b>   |
| <b>საპროცენტო განაკვეთის დანახარჯები კალკულაცია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დათვლის მეთოდის გამოყენებით</b> |                 |                 |
| ნასესხები სახსრები   | (9,282)         | (19,052)        |
| სავალო ფასიანი ქაღალდები   | (1,135)         | (1,168)         |
|  | <b>(10,417)</b> | <b>(20,220)</b> |
| <b>წმინდა საპროცენტო განაკვეთის შემოსავალი</b>   | <b>26,397</b>   | <b>52,523</b>   |

## 4. საკომისიო შემოსავალი

|   | 6 თვე 2019 | 2018         |
|---|------------|--------------|
| საკომისიო შემოსავალი უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან | 10         | 2,127        |
| საკომისიო შემოსავალი კლიენტებზე გაცემული სესხებიდან | 199        | 325          |
|   | <b>209</b> | <b>2,452</b> |

# სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)  
 2019 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის  
 (ათასობით ლარში)

## 5. თანამშრომელთა ხარჯები

|   | 6 თვე 2019   | 2018          |
|---|--------------|---------------|
| ხელფასები და სხვა სარგებელი                                   | 9,843        | 17,588        |
| კაპიტალში გაქვითული წილობრივი გადახდა                         | -            | 135           |
| ხელმძღვანელობის წამახალისებელ გეგმასთან დაკავშირებული ხარჯები | -            | 147           |
|   | <b>9,843</b> | <b>17,870</b> |

### ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმა, წილობრივი გადახდები

2014 წლის 12 დეკემბერს სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმა. ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის მიზანია მოტივაციის გაზრდა და ჯგუფის ხელმძღვანელობის აღმასრულებელი გუნდის წახალისება კაპიტალის ზრდის სტრატეგიის განსახორციელებლად, ჯგუფის ინტერესების შემუშავება და დაცვა, აქციონერების და დაინტერესებული მხარეების ფართო ჯგუფის გათვალისწინებით.

2017 წლის 31 დეკემბრისათვის ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის ანაზღაურება განისაზღვრებოდა შემდეგ მონაცემებზე დაყრდნობით:

- ა) ჯგუფის მნიშვნელოვანი მიზნები - ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის 60%;
- ბ) ინდივიდუალური მიზნები - ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის 30%; და
- გ) დისკრეციული - ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის 10%.

ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის გასამრჯელო დამოკიდებული იყო ზემოთ მოცემული მიზნების შესრულებაზე. მთლიანი გასამრჯელო იყოფოდა ფულად გადახდად (გასამრჯელოს - 50%) და სააქციო კაპიტალზე დამყარებულ წილობრივ გადახდად (გასამრჯელოს - 50%).

ხელმძღვანელობის წამახალისებელ გეგმაში მოცემული ძირითადი პირობების შესრულება განისაზღვრებოდა შესაბამისი კოეფიციენტების მიღწევით, მაგალითად: სესხების რეზერვის, პორტფელის რისკის (>30), აქტივებზე უკუგების, კაპიტალზე უკუგებისა და სხვა კოეფიციენტების შესრულებით.

2018 წლის მანძილზე ჯგუფის ორგანიზაციულ სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებების პასუხად, სამეთვალყურეო საბჭოს 2018 წლის 20 ნოემბრის რეკომენდაციით, კორექტირებები შევიდა მანამდე დამტკიცებულ „ჯგუფის მნიშვნელოვანი მიზნების შეწონვა და ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის განაწილება ხელმძღვანელობის წევრებზე“-ში:

- ა) ჯგუფის საერთო მიღწევები - ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის 55%;
- ბ) ინდივიდუალური მიზნები - ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის 30%;
- გ) უნარ-ჩვევების წარმოჩენა - ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის 5%; და
- დ) სამეთვალყურეო საბჭოს დისკრეცია - ხელმძღვანელობის წამახალისებელი გეგმის 10%.

მენეჯმენტის შეფასებებით, 2018 წლის შედეგებზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მიერ გეგმა ვერ შესრულდა და 2018 წლის 31 დეკემბერს ჯგუფმა არ აღიარა წამახალისებელი გეგმა არც თანხობრივად და არც აქციებად გასაცემი. თუმცა, ხელმძღვანელობამ შეასრულა შედეგებზე მიზნული პრემიის მიზნები, რაც თანხობრივად გაიცემა, რისთვისაც ჯგუფმა აღიარა ხარჯი და კრედიტორული დავალიანება 147 ათასი ლარის ოდენობით.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წილობრივი გადახდების რეალურმა ღირებულებამ შეადგინა ნული ლარი და 68 ათასი ლარი და, შესაბამისად, გამოშვებულ იქნა ნული და 9,297 ჩვეულებრივი აქცია ჯგუფის მიზნების მიღწევისათვის. აქციების რეალური ღირებულება უახლოვდება ფასს, რომლის მიხედვითაც განხორციელდა ჯგუფის წილების გაყიდვა გაშლილი ხელის პრინციპით.

წილობრივი გადახდის ტრანზაქციის აღიარება ხდება, როგორც წილობრივი გადახდის რეზერვის ზრდა კაპიტალში.

## სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)  
2019 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის  
(ათასობით ლარში)

მენეჯმენტის წამახალისებელი გეგმის შესრულება მოცემულია შემდეგ ცხრილში:

| მენეჯმენტის<br>წამახალისებელი გეგმა<br>წლიური | სტატუსი         | ტრანზაქციის საფუძველი                   | სამეთვალყურეო<br>საბჭოს მიერ<br>დამტკიცების<br>თარიღი | ჩვეულებრივი<br>აქციების<br>რაოდენობა |
|---|-----------------|---|---|--------------------------------------|
| 2017  | გასაცემი წილები | ჯგუფის ფართო მიზნების<br>შესრულებისთვის | ივლისი 11, 2018                                       | 9,297                                |
| 2018  | გასაცემი წილები | ჯგუფის ფართო მიზნების<br>შესრულებისთვის | N/A   | -                                    |

### 6. სხვა საოპერაციო ხარჯები

|  | 6 თვე 2019   | 2018          |
|--|--------------|---------------|
| საოპერაციო იჯარა                         | 2,147        | 3,776         |
| კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები      | 720          | 1,269         |
| იურიდიული და სხვა პროფესიული მომსახურება | 470          | 556           |
| საყოფაცხოვრებო და საოფისე მოწყობილობები  | 295          | 555           |
| მარკეტინგისა და რეკლამის ხარჯები         | 281          | 474           |
| წევრობის საფასური                        | 275          | 483           |
| საბანკო ხარჯები                          | 264          | 763           |
| საწვავი                                  | 221          | 445           |
| მივლინების ხარჯები                       | 179          | 543           |
| რემონტი და ტექნიკური მომსახურება         | 124          | 237           |
| დაზღვევა                                 | 121          | 352           |
| კადრების მომზადება და გადამზადება        | 102          | 246           |
| უსაფრთხოება                              | 94           | 174           |
| გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა  | 80           | 260           |
| ქველმოქმედება                            | 48           | 73            |
| სხვა                                     | 1,110        | 1,154         |
|  | <b>6,531</b> | <b>11,360</b> |

### 7. ფული და ფულის ექვივალენტები

|  | ივნისი 30,<br>2019 | დეკემბერი 31,<br>2018 |
|--|--------------------|-----------------------|
| ნაღდი ფული                             | 14,099             | 9,780                 |
| საბანკო ნაშთები                        | 4,333              | 4,173                 |
| <b>სულ ფული და ფულის ექვივალენტები</b> | <b>18,432</b>      | <b>13,953</b>         |

არცერთი საბანკო ნაშთი არ არის ვადაგადაცილებული. მოკლევადიანი ხასიათის გამო საბანკო ნაშთებისთვის რეზერვი არ არის აღიარებული. საბანკო ნაშთები მოიცავს მიმდინარე საბანკო ანგარიშებს საქართველოში და გამოიყენება ჯგუფის ყოველდღიურ საქმიანობაში.

2019 წლის 30 ივნისისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საბანკო ნაშთების უდიდესი ნაწილი განთავსებულია ბანკებში, რომელთაც Fitch Ratings-ის მიერ მინიჭებული აქვთ B (მოკლევადიანი რეიტინგი) და BB- (გრძელვადიანი რეიტინგი) რეიტინგები.

## სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)  
2019 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის  
(ათასობით ლარში)

### 8. მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

|  | ივნისი 30,<br>2019 | დეკემბერი 31,<br>2018 |
|--|--------------------|-----------------------|
| <b>მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები</b> |                    |                       |
| <b>წარმოებული ფინანსური აქტივები</b>                                 |                    |                       |
| უცხოური ვალუტის ფორვარდული კონტრაქტები                               | 1,776              | 405                   |
| ვალუტის გაცვლის კონტრაქტები  | 856                | 37                    |
| <b>მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები</b> | <b>2,632</b>       | <b>442</b>            |
| <b>ვალდებულებები</b>   |                    |                       |
| <b>წარმოებული ფინანსური ვალდებულებები</b>                            |                    |                       |
| ვალუტის გაცვლის კონტრაქტები  | 409                | 1,659                 |
| <b>ვალდებულებები</b>   | <b>409</b>         | <b>1,659</b>          |

რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს სავალუტო კონტრაქტებს.

#### ვალუტის გაცვლის კონტრაქტები

ჯგუფი განიხილავს დეპოზიტით უზრუნველყოფილ სესხებს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებად, იქიდან გამომდინარე, რომ ტრანზაქციები (დეპოზიტის განთავსება და სესხის აღება) გამოიწვევს დერივაციას. დასკვნა ეფუძნება შემდეგ ინდიკატორებს:

- ისინი შედიან ძალაში ერთდროულად და ერთმანეთის მიყოლებით;
- ისინი რეგულირდება ერთი და იმავე კონტრაქტის მიხედვით;
- აქვთ ერთნაირი რისკი;
- არ არსებობს აშკარა ეკონომიკური საჭიროება ან არსებითი ბიზნეს მიზანი გარიგებების ცალკე სტრუქტურისთვის, რომელიც ვერ განხორციელდება ერთ გარიგებაში;
- არსებობს თავდაპირველი წმინდა ინვესტიცია, რომელიც უფრო ნაკლებია, ვიდრე სხვა სახის ინვესტიცია, რომელიც ანალოგიურად რეაგირებს მსგავს ცვლილებებზე საბაზრო ფაქტორებიდან და სამომავლო გეგმებიდან გამომდინარე;

#### უცხოური ვალუტის ფორვარდული კონტრაქტები

ფორვარდი არის საკონტრაქტო შეთანხმება ორ მხარეს შორის, რომელთა შორისაც უნდა მოხდეს გარკვეული დროის განმავლობაში ფინანსური სახსრების გადახდები გარკვეული ოდენობით.

უცხოური ვალუტის ფორვარდულ ოპერაციებში ჯგუფი იხდის თანხის გარკვეულ ოდენობას ერთ ვალუტაზე და იღებს გარკვეულ ოდენობას მეორე ვალუტაში.

## სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)  
 2019 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის  
 (ათასობით ლარში)

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აღწერს არადისკონტირებულ საკონტრაქტო თანხებს 2019 წლის 30 ივნისისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. უცხოური ვალუტის თანხების გადაფასება, რომლებიც ქვემოთ არის წარმოდგენილი ხდება ანგარიშგების თარიღისთვის არსებული კურსით. იმ ხელშეკრულებებზე მიღებული მოგება და ზარალი, რომელთა ვადაც არ იყო დასრულებული, აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებასა და ფინანსურ ინტერუმენტებზე მოგება-ზარალში.

|  | ეროვნული ვალუტა    |                       |
|--|--------------------|-----------------------|
|  | ივნისი 30,<br>2019 | დეკემბერი 31,<br>2018 |
| <b>აშშ დოლარის გაყიდვა ლარის ყიდვა</b> |                    |                       |
| 3 თვეზე ნაკლები                        | -                  | 13,383                |
| 3-დან 12 თვემდე                        | 105,855            | 98,767                |
|  | <b>105,855</b>     | <b>112,150</b>        |

|  | ეროვნული ვალუტა    |                       |
|--|--------------------|-----------------------|
|  | ივნისი 30,<br>2019 | დეკემბერი 31,<br>2018 |
| <b>ლარის გაყიდვა აშშ დოლარის ყიდვა</b> |                    |                       |
| 3 თვეზე ნაკლები                        | 2,879              | -                     |
|  | <b>2,879</b>       | <b>-</b>              |

### 9. კლიენტებზე გაცემული სესხები

|  | ივნისი 30,<br>2019 | დეკემბერი 31,<br>2018 |
|--|--------------------|-----------------------|
| ძირი თანხა                                     | 263,265            | 267,639               |
| დარიცხული პროცენტი                             | 9,743              | 7,525                 |
| გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები | (12,840)           | (10,556)              |
| წმინდა გაცემული სესხები                        | <b>260,168</b>     | <b>264,608</b>        |
| <b>სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები</b>     |                    |                       |
| <b>სექტორის ანალიზი:</b>                       |                    |                       |
| სოფლის მეურნეობა                               | 81,270             | 79,203                |
| მომსახურება                                    | 68,348             | 67,010                |
| სამომხმარებლო                                  | 57,805             | 64,371                |
| ვაჭრობა  | 41,582             | 42,112                |
| სალომბარდე                                     | 15,618             | 13,016                |
| წარმოება                                       | 8,385              | 9,452                 |
| <b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები</b>         | <b>273,008</b>     | <b>275,164</b>        |
| გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები | (12,840)           | (10,556)              |
| <b>კლიენტებზე გაცემული წმინდა სესხები</b>      | <b>260,168</b>     | <b>264,608</b>        |

კლიენტებზე გაცემული სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით. კლიენტებზე გაცემული სესხები კლასიფიცირებულია ფაქტორების კომბინაციის მიხედვით (ძირითადად სესხის ამღების შემოსავლის წყარო და სესხის მიზანი). ინდივიდუალური ბიზნესის მფლობელების მიერ სამომხმარებლო მიზნებისათვის მიღებული სესხები წარმოდგენილია შესაბამის კატეგორიებში (ვაჭრობა, მომსახურება და სოფლის მეურნეობა) ბიზნეს საქმიანობის ტიპების მიხედვით.

## სააქციო საზოგადოება მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)  
2019 წლის 30 ივნისით დასრულებული ნახევარწლიური პერიოდისათვის  
(ათასობით ლარში)

მომდევნო ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია 2019 წლის 30 ივნისის მდგომარეობით:

|   | მთლიანი<br>საბალანსო<br>ღირებულება | მოსალოდნელი<br>საკრედიტო<br>დანაკარგები | საბალანსო<br>ღირებულება |
|---|------------------------------------|---|-------------------------|
| <b>საცალო კლიენტებზე გაცემული სესხები:</b>    |                                    |   |                         |
| სოფლის მეურნეობა                              | 81,270                             | (4,606)                                 | 76,664                  |
| მომსახურება                                   | 68,348                             | (3,088)                                 | 65,260                  |
| სამომხმარებლო                                 | 57,805                             | (2,076)                                 | 55,729                  |
| ვაჭრობა                                       | 41,582                             | (2,323)                                 | 39,259                  |
| სალომბარდე                                    | 15,618                             | (16)                                    | 15,602                  |
| წარმოება                                      | 8,385                              | (731)                                   | 7,654                   |
| <b>სულ საცალო კლიენტებზე გაცემული სესხები</b> | <b>273,008</b>                     | <b>(12,840)</b>                         | <b>260,168</b>          |

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი მოიცავს ინფორმაციას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

|  | მთლიანი<br>საბალანსო<br>ღირებულება | მოსალოდნელი<br>საკრედიტო<br>დანაკარგები | საბალანსო<br>ღირებულება |
|--|------------------------------------|---|-------------------------|
| <b>საცალო კლიენტებზე გაცემული სესხები:</b>     |                                    |   |                         |
| სოფლის მეურნეობა                               | 79,203                             | (4,229)                                 | 74,974                  |
